MES 5 22 0000724111

28/06/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 14.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:05 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**დავით ბურჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მამუკა თავხელიძე		რექტორი	II
2	გიგი ყუფარაძე		„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
3	მაკა ფირანიშვილი		„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო	II

		შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე	
4	ნათია დაღელიშვილი		ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	II
5	მოგელი შენგელია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
6	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	III, IV, V, VI
7	მარიამ ჯანჯარია		ადამიანური კაპიტალის სამსახურის უფროსი	III, IV, V, VI
8	თამარ ლობჟანიძე		ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორი	III, IV, V, VI
9	ანა ჟორჟოლიანი		ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
10	მარინა დარახველიძე		ფარმაციის დეპარტამენტის უფროსი	III, IV, V, VI
11	ელზა ნიკოლეიშვილი		ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
12	ნათია ლანდია		მედიცინის დეპარტამენტის უფროსი, „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III, IV, V, VI
13	ელენე გიგინეიშვილი		სტომატოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროგრამის თანახელმძღვანელი	III, IV, V, VI

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
2	ეკა დევიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II

3	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	მარიამ ალექსიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ია ფანცულაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
6	მაკა ჯავახია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
7	ხათუნა საგანელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ნინო კორსანტია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
10	ეკატერინე ბეშკენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტი, ანა ჯავახიშვილი. მან დააყენა შუამდგომლობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"გადაწყვეტილებასა და მის დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების განხილვის პირველ საკითხად დაყენების შესახებ.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებასა და მის დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების განხილვა;
2. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებასა და მის დანართში ტექნიკური ხარვეზის გასწორების განხილვა;

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანა ჯავახიშვილმა განმარტა, რომ 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ"მირებულ გადაწყვეტილებაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი წერია 2028 წელი ნაცვლად 2029 წლისა.
საბჭოს იმსჯელა აღნიშნული შუამდგომლობის შესახებ და დოკუმენტაციასთან თავსებადობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილებაში და მის დანართში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 "შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" გადაწყვეტილების და მის დანართში შევიდეს ცვლილება და დანართ №1-ში გადაწყვეტილების ვადის გასვლის თარიღად ნაცვლად „2028 წლის 26 აპრილი“ მიეთითოს „2029 წლის 26 აპრილი“.

2. მეორე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.12.2011 გადაწყვეტილება №386
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1015 - მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	-
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიზანი იყო დაედგინა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა შექმნა ხელსაყრელი გარემო, რათა ექსპერტებს ჰქონოდათ ყველანაირ ინფორმაციაზე წვდომა, რაც მისცემდათ სრულფასოვანი შეფასების საფუძველს, დაწესებულებას გაეგზავნა დასკვნის პროექტი, რის შემდეგაც მათ გააგზავნეს არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა, როდესაც ჯგუფში განიხილეს არგუმენტები, მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ შეენარჩუნებინათ აღნიშნული რეკომენდაციები, თუმცა გარკვეული ტექნიკური/ფაქტობრივი ხარვეზები, მაგ., საგნის დასახელება, უკვე გასწორდა.
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 1.2 კომპონენტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 2.1 და 2.6 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მესამე სტანდარტი - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 3.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 3.2 კომპონენტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 4.1 კომპონენტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
· მეხუთე სტანდარტი - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 5.1 და 5.2 კომპონენტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 5.3 კომპონენტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, გაიზარდოს პროგრამის გადამუშავების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ბათუმის წარმომადგენლობის ჩართულობა შესაბამისი მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედების გზით;
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან გადახრის რა სიდიდე არის დასაშვები და რა შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება;

3. რეკომენდებულია, ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის, საერთაშორისო ტურიზმის და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის, ტურიზმის მარკეტინგის, ტუროპერეიტინგის წინაპირობად განესაზღვროს ,,შესავალი ტურიზმში", ხოლო მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მენეჯმენტის, ღონისძიებების ადმინისტრირების, გაყიდვები ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სასწავლო კურსებს, ,,შესავალი ტურიზმში" სასწავლო კურსთან ერთად, წინაპირობად განესაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები"; სასწავლო კურსებს „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო" და „საერთაშორისო ბიზნესის პრინციპები" წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენა - მიუხედავად დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილიად მიიჩნია აღნიშნული რეკომენდაციის დატოვება;
4. რეკომენდებულია, პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილ იქნეს „ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსი;
5. რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებთან: ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, მასპინძლობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტუროპერეიტინგი და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურება, დემოკრატია და მოქალაქეობა, ფსიქოლოგია, ბიზნესის სამართლის საფუძვლები - აღნიშნულის შესახებ არგუმენტირებულ პოზიციაში ეწერა, რომ ძირითადად სამართლებრივ დოკუმენტებზე არის აღნიშნული ლიტერატურა წარმოდგენილი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა სახელმძღვანელობისა და საკანონმდებლო დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს აღნიშნულ სასწავლო კურსებში, მაგრამ აკადემიური თავისუფლების პრინციპის დაცვის საკითხიდან გამომდინარე არ დაასახელეს კონკრეტულად რომელ სახელმძღვანელოებზე იყო საუბარი;
6. რეკომენდებულია, შეივსოს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების" სილაბუსის შინაარსი, უკვე არსებულ საკითხებთან ერთად, ბიზნესის სამართლისთვის სხვა რელევანტური თემატიკით (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლიდან, შრომის სამართლიდან და სხვა);
7. რეკომენდებულია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა, ხელშეკრულების/მემორანდუმის გათვალისწინებული პრაქტიკის ხანგრძლივობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - მიზნობრიობაც;
8. რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასა და რიგ სილაბუსებში („კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა", „საინფორმაციო ტექნოლოგიები" , „შესავალი ტურიზმში", „ფინანსური აღრიცხვა I" სილაბუსებში) სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს აქტივობებისგან;
დანარჩენი რეკომენდაციების გაცემის საჭიროება გამომდინარეობს დაწესებულების ბათუმის ფილიალის წარმომადგენლებთან გასაუბრებიდან.
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენლობის პროგრამის სტუდენტებთან ელექტრონულ რესურსულ ბაზებთან დაკავშირებით;
10. რეკომენდებულია ბათუმის წარმომადგენლობაში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სალექციო და სასემინარო სწავლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაიზარდოს დარგის (ტურიზმი) კვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა (ადგილობრივი (ბათუმი) კადრებით უზრუნველყოფა);
11. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგი განსაკუთრებით ბათუმის წარმო-მადგენლობის დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენის, მიღებული მონა-ცემების სათანადო ანალიზის, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერა-ტურის განახლების, ბათუმის წარმომადგენლობაში აკადემიური პერსონალის მოზიდვის, რამდენიმე

საკითხზე (მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე) სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით დადებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

14:15 საბჭოს შემოუერთდნენ თამარ სირაძე და ხათუნა თოდაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგი ყუფრაძემ, განაცხადა, რომ დაახლოებით, ხუთი რეკომენდაცია ეხება ბათუმის წარმომადგენლობის მეტ ჩართულობას, თუმცა საუბარი ეხება ფაქტობრივად ერთ უნივერსიტეტს, ერთ პროგრამას და არა ფილიალს. შესაბამისად, ისინიც მუდმივად არიან ჩართულნი აღნიშნულ პროცესში, თუკი ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ნაკლებია ჩართულობა დაწესებულება გაითვალისწინებს, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ ჩატარებული ყოველ სემესტრული/ყოველწლიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მსგავსი პრობლემა არ არსებობს. და რადგანაც ჩართულობის გაზრდა ძალიან კარგია, ამ კუთხით ეცდებიან მეტად ეფექტურნი იყვნენ ბათუმის ფილიალთან ურთიერთობაში. დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით. ასევე, წინაპირობებთან დაკავშირებით განმარტა, რომ გასწორებულია ტექნიკური ხარვეზები. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აქვთ ძალიან კარგი პროგრამა, რომლითაც ურთიერთობენ პედაგოგებთან/სტუდენტებთან, სადაც პროგრამა ისეა აწყობილი, რომ თუ ვინმეს შესავალი გავლილი არ აქვს არ ეძლევათ სასწავლო კურსის არჩევის შესაძლებლობა. შესაბამისად, პროგრამაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც აუცილებლად გასწორდება. „ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსის სავალდებულოდ დანერგვის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც იკითხება, ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული თემები ძალიან კარგად არის გაშლილი. „ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი კი წარმოდგენილია თავისუფალ კრედიტად. აღნიშნული საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნას პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედგები, ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით საკმარისია, თუმცა საბჭოს მიერ აღნიშნული რეკომენდაციის ძალაში დატოვების შემთხვევაში, ფიქრობენ მის გათვალისწინებასა და სავალდებულო სასწავლო კურსად „ადამიანური რესურსების მართვის“ შემოტანას. ლიტერატურის შესახებ დაწესებულების წარმომადგენლები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფს. მიუხედავად, ტურიზმში ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირისა, შეეცდებიან რიდერებით შეავსონ. მემორანდუმების შესახებ მან განაცხადა, რომ მიზნობრიობა მითითებულია მემორანდუმებში, ხანგრძლივობა - სილაბუსებში. რაოდენობის შესახებ კი განმარტა, რომ მათი მიმართულების კურსდამთავრებულთა რაოდენობა ძირითადად არის, ათი, ცამეტი, ოცდაორი და ა.შ., ამიტომ რაოდენობის მითითება შესაძლებელია ზედმეტი ვალდებულება იყოს ობიექტების წარმომადგენლებისათვის, მაგრამ პრობლემა იმის, რომ შესაძლებელია არ ეყოს კურსდამთავრებულებს - არ არსებობს, რადგან ობიექტი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე კურსდამთავრებულებს უშვებენ. მერვე რეკომენდაციის (რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასა და რიგ სილაბუსებში („კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , „შესავალი ტურიზმში“, „ფინანსური აღრიცხვა I“ სილაბუსებში) სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს აქტივობებისგან) შესახებ, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ირინა გველესიანი, დაინტერესდა თუ როგორია სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავება/განვითარების პროცესში. ასევე, დაინტერესდა თუ რა სახის ღონისძიებები ტარდება გარე შეფასებაში უცხოელ ექსპერტთა ჩართულობის მიზნით.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა, დაინტერესდა ბათუმის წარმომადგენლობასთან დაკავშირებით, 26 აფილირებული პერსონალიდან რამდენია ბათუმის წარმომადგენელი ორივე მიმართულებიდან. ასევე დაინტერესდა, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი პროგრამის მდგრადობა, ემუქრება თუ არა ამ ეტაპზე პროგრამას რაიმე და როგორ აისახება აღნიშნული პერსონალის დატვირთვაზე, ვინაიდან ძირითადად ერთი ლექტორები ემსახურებიან როგორ დარეგულირდება საკითხი Offline რეჟიმში.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა ელექტრონულ რესურსებთან მუშაობის შესახებ, ვინაიდან დასკვნაში ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობაა. დასაწყისში აღნიშნულია, რომ ყველა უნივერსიტეტი ატარებს ელ. რესურსების გამოყენების ტრენინგებს და შედეგად იზრდება მათი გამოყენების ეფექტიანობა, თუმცა ბოლოსკენ აღწერითი ნაწილი სრულდება მოსაზრებით, რომ ეს ნაწილი პრობლემურია და გაცემულია რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენლობის პროგრამის სტუდენტებთან ელექტრონულ რესურსულ ბაზებთან დაკავშირებით. აღნიშნული ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია დამაბნეველია და ამიტომაც საინტერესოა თუ რა იგულისხმება ბათუმის წარმომადგენლობაში ამ საკითხთან მიმართებით და როგორია რეალური მგომარეობა, კონკრეტულად რა ტიპის პრობლემატიკა გამოვლინდა სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ, განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას, რომ გასასწორებელია ლიტერატურა სასწავლო კურისის "დემოკრატია და მოქალაქეობა" სილაბუსში. 2011 წლის შემდეგ ხელმისაწვდომია ახალი გამოცემა. მან გამოთქვა ასევე მოსაზრება რამდენიმე სხვა სასწავლო კურსის შესახებ და კითხვით მაიმართა უსდ წარმომადგენლებს: 1. სასწავლო კურსში "საქართველოს და ცივილიზაციის ისტორია" ერთდროულად თავი მოუყარო საქართველოსა და ცივილიზაციის ისტორიას ერთსაათიანი ლექციისა და ერთსაათიანი ჯგუფური მუშაობის პროცესში, მას შეუძლებლად მიაჩნია; ასევე სავალდებულო ლიტერატურა ვერ ფარავს სილაბუსში მოცემულ მთელ რიგ თემებს. ამას გარდა, სავალდებულო ლიტერატურიდან რიგი თემების ირგვლივ იკითხება მესამე წიგნი, რომელიც სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვლაში არ არის. ხომ არ ფიქრობს დაწესებულება სასწავლო კურისის სილაბუსის გადახედვას თემატიკისა და ლიტერატურის თვალსაზრისით, მით უმეტეს საქართველოსა და ცივილიზაციის ისტორიის ერთდროულად სწავლებას ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში; 2. ხელოვნების ისტორია - აღნიშნულითან დაგავშირებით გ. ჭელიძემ აღნიშნა, რომ როცა გაეცნო პროგრამას, კურიკულუმში მითითებული იყო 'ხელოვნების თეორია" და მაშინვე გაუჩნდა მოსაზრება, რომ ტურიზმის სპეციალობაზე უმჯობესი იქნებოდა "ხელოვნების ისტორიის" სწავლება. სილაბუსების გაცნობის დროს, პროგრამაში წარმოდგენილი იყო "ხელოვნების ისტორიის" სილაბუსი, რაც ძალიან კარგია. ამიტომ ის დაინტერესდა რას ასწავლის უსდ რეალურად. თუ პროგრამაშია შეცდომა, მაშინ ის აუცილებლად უნდა გასწორდეს. აქვე დასძინა, რომ სილაბუსისც გადასახედია ისე, რომ საქართველო და მსოფლიო ხელოვნების სწავლების პროცესში დაცული იყოს ლოგიკური თანმიმდევრობა. 3. "დიპლომატიის ისტორიის“ შესახებ მან განაცხადა, რომ სასწავლო კურსის აღწერილობაში მითითებულია დიპლომატიის ისტორიის სწავლება მეოცე საუკუნემდე, თუმცა ამავე დროს სწავლის შედეგებში იკითხება, რომ სტუდენტმა აწმყო/წარსული უნდა დააკავშიროს ერთმანეთთან. მისთვის საეჭვოა, თუ რამდენად არის მეოცე საუკუნის დასაწყისი აწმყო, რადგან მას შემდეგ იყო ძალიან ბევრი გამოწვევა კონკრეტული ცვლილებებითა და შედეგებით. შესაბამისად, ეს ნაწილიც გადასახედია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თემატურ ნაწილში ლექტორს აქვს წარმოდგენილი საკითხები მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა დიპლომატიური სამსახურის თავისებურებების

შესახებ, ამ უკანასკნელს კი სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ვერ ფარავს. იგი დაინტერესდა ამ მიმართულებით დაწესებულების პოზიციით; 4. გ. ჭელიძე დაინტერესდა ასევე თუ რა არის რეპორტი, რომელიც იკითხება სასწავლო კურსის „კულტურული მემკვიდრეობის“ სილაბუსში. რეპორტი ჩაშლილია როგორც ნაშრომი შესაბამისი კრიტერიუმებით და თუ ნაშრომია რატომ უწოდებენ მას რეპორტს?

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“. მისი მოსაზრებით, თუ ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს დარგობრივ მახასიათებელში გაწერილი ის მინიმალური მოთხოვნები, რაც კვალიფიკაციის მინიჭებისთვის არის მნიშვნელოვანი, ასეთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია „ადამიანური რესურსების მართვის“ და არა მარტო ამ სასწავლო კურსთან მიმართებით, არამედ ბევრ სხვა კურსთან მიმართებით მართებული იქნება, მან სთხოვა ეპასუხათ, თუ რატომ ჩამოყალიბდნენ ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე.

საბჭოს წევრი, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი, დაინტერესდა სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსებს მართვა“ შესახებ, მან გადახედა წარმოდგენილ დოკუმენტებს, კერძოდ პერსონალის CV-ებსა და მათ დიპლომებს, და დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, თუ რამდენად მართებულია ბაკალავრის ხარისხის მქონე პირი ასწავლიდეს. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ შეეძლოთ დაესახელებინათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირების რაოდენობა, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაში, მოწვეული ლექტორის სტატუსით, თუმცა კითხულობენ საგნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა, ელექტრონული რესურსების შესახებ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, ინფორმაცია ჰქონდათ ადმინისტრაციის/აკადემიური პერსონალის მხრიდან, რომ ტარდება ტრენინგები, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ან მექანიზმია არა ეფექტიანი, ან სიხშირეა მცირე, რადგანაც, როცა ჰქონდათ მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ - მათ გარკვეული საკითხები ვერ გაიხსენეს ანუ ვერ დაადასტურეს ის ცოდნა, რომ გამოყენების თვალსაზრისით აქტიურად სარგებლობენ ელექტრონული რესურსებით. აქედან გამომდინარე გადაწყვიტეს, რომ ყურადღება გაემახვილებინათ აღნიშნულ საკითხზე, რამდენადაც უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევითი პროდუქტის შექმნის დროს, ხარისხიანი პროდუქტის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია იცოდნენ ყველა შესაძლებლობა და აქტიურად გამოიყენონ მუშაობის პროცესში, ამიტომ დასაფიქრებელია, თუ უნივერსიტეტი სთავაზობს და შედეგი არ ჩანს. რაც შეეხება სხვა პრობლემებს შესაძლებელია ითქვას, რომ დაკავშირებულია სტუდენტთა პასიურ დამოკიდებულებასთან გარკვეული აქტივობების მიმართ, მათ იციან, რომ არის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა, ელექტრონულ ბაზებზე წვდომის, მაგრამ ისინი არ იყენებენ ამას. ასევე, საუბარი იყო, რომ მუდმივად ხდება თბილისის აკადემიური პერსონალის ჩართვა, მაგრამ იყო გარკვეული შემთხვევები, როდესაც ისე არ წარიმართა, როგორც საჭირო იყო. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეული პრობლემები მიიღო ინფორმაციის სახით, რაც შემდეგ გახდა რეკომენდაციების საფუძველი.

ექსპერტმა, ეკა დევიძემ, ადამიანურ რესურსთან დაკავშრებით განაცხადა, რომ მათი რეკომენდაცია მიემართებოდა ბათუმის უნივერსიტეტის კუთხით სალექციო კურსებით ადგილზე უზრუნველყოფას. თბილისიდან ხდება მივლინება და ამასთან ერთად Online რეჟიმში COVID-19-ით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე ძალიან მარტივი იყო სამართავად, თუმცა Offline სააუდიტორიო მეცადინეობები გულისხმობს იმას, რომ ადგილზე უნდა იყოს ჩართული ადამიანური რესურსი. კითხვაზე ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანს აქვს თუ არა ლექციის წაკითხვის უფლება, მან განაცხადა, რომ ძირითადად წარმოდგენილი იყო რესურსი, ხუთწლიანი დიპლომით, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრატურასთან. უბრალოდ, ეს არის უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკა, თუ რამდენად აძლევს ის უფლებას ბაკალავრს, თუმცა ეს იყო ძირითადად სასემინარო კუთხით, პროფესიული

ნიშნით, ჩართულობა, საუბარი არ არის დარგის სპეციალისტებზე ტურიზმის მიმართულებით, თბილისის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსით და გათვალისწინებულია დარგის სპეციალისტების ჩართულობა.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ ასეთი ხუთწლიანი საბაკალავრო კვალიფიკაციის მქონე პირის მხოლოდ ერთი დიპლომი ნახა, მან ასევე, შეამოწმა სხვა მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია, რომლებსაც არ ჰქონდათ ხუთწლიანი პროგრამა დამთავრებული.
ექსპერტმა, ეკა დევიძემ, დასძინა, რომ აღნიშნული ლექტორები არ არიან გათვალისწინებულნი, როგორც სალექციო კურსის ლექტორები.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პროგრამის მართვის კომიტეტი, სადაც გაერთიანებულია, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი და სტუდენტები, და წარმოდგენილია აკადემიური პერსონალი თბილისსა და ბათუმიდან. აღნიშნული კომიტეტი იხილავს, პროგრამის შემუშავებას, მასში კორექტირების შეტანის საჭიროებას, შემუშავებული პროგრამა გადაეცემა ხარისხის სამსახურს, რომელიც იხილავს ცვლილებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს. თუ რაიმე ხარვეზია და არ შეესაბამება სტანდარტს, პროგრამას კომიტეტს უბრუნებს რეკომენდაციებთან ერთად, შემდეგ პროგრამის კომიტეტი ისევ განიხილავს ცვლილებების საჭიროებებს, რომლებსაც ხარისხის სამსახური გასცემს. საბოლოო ჯამში, პროგრამის შემუშავება-დამტკიცებაში ასევე ჩართულია აკადემიური საბჭო, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის მართვის პროცესშიც.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ მოწვეულ პერსონალთან (რომლებიც საბაკალავრო კვალიფიკაციას ფლობენ) დადებულ ხელშეკრულებაში, არის ჩანაწერი, რომ მათი ხელშეკრულების საგანი არის დოქტორანტებისა და მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა, ექსპერტმა კი თქვა, რომ მხოლოდ სემინარებს ატარებენ, ამიტომ დაინტერესდა, თუ რამდენად შეუძლია ბაკალავრს დოქტორანტისა და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, დაადასტურა, რომ ბაკალავრს არ შეუძლია დოქტორანტისა და მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა, საუბარია ხელშეკრულების სტანდარტულ ტექსტზე, რომელიც ზუსტდება ხელშეკრულების დანართით, რაც შეეხება ბაკალავრის მიერ ლექციის წაკითხვას, იგი არჩეულია პრაქტიკული გამოცდილების ნიშნითაც, ანუ არიან პრაქტიკოსები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ბაკალავრიატი, თუმცა იმდენი ხანი მუშაობენ ტურიზმის სფეროში, რომ გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვილი და შეუძლიათ გაუზიარონ სტუდენტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ როგორც აღინიშნა დანართით რეგულირდება ბაკალავრის მიერ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა, დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა ესაუბრათ სასწავლო პროცესის შესახებ ბაკალავრიატზე.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, განმარტა, რომ პერსონალის შერჩევას ახდენენ პრაქტიკული ნიშნით, შესაძლებელია ბაკალავრი იყოს, მაგრამ იმდენი ხანი ჰქონდეს ნამუშევარი ტურიზმის სფეროში, რომ თავისი გამოცდილება/უნარ-ჩვევები გადასცეს სტუდენტებს, აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვერ ხედავს პრობლემას.
„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგი ყუფარაძემ, გარე შეფასებაში უცხოელი ექსპერტების ჩართვის შესახებ განაცხადა, რომ მათი ინფორმაციით აღნიშნული სავალდებულო არ არის, თუმცა გარე შეფასებებში მონაწილეობა მიიღეს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი, თამარ მაისურაძე და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ბექა ჯაყელი, რომელიც მუშაობს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციაში, მადრიდში. შესაბამისად, მისი შეფასება შესაძლებელია ჩაითვალოს უცხოელი ექსპერტის შეფასებად, მან დადებითად შეაფასა აღნიშნული პროგრამა.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა, განაცხადა, რომ მას გახსნილი ჰქონდა ხელშეკრულება ერთ-ერთ პირთან, სადაც ბაკალავრის ხარისხის მქონე პირთან დადებული ხელშეკრულების პირველივე გვერდზე პირდაპირ წერია, რომ დაწესებულება იწვევს „მოწვეულ პროფესორად“, რომელსაც აქვს გარკვეული ფუნქციები. მისთვის გასგებია, რომ დანართი შესაძლებელია ჰქონდეს ნებისმიერ ხელშეკრულებას, თუმცა მთავარი ვალდებულებები, რომელიც განსაზღვრულია და პოზიცია, რაზეც იწვევენ არის „მოწვეული პროფესორი“ და ფუნქციების ჩამონათვალი არ არის რელევანტური ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ადამიანისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავდნენ ხელშეკრულებას. პერსონალის სტატისტიკის შესახებ განმარტა, რომ ბათუმში არის 8 აკადემიური პერსონალი და 12 მოწვეული, თბილისში კი 26 აკადემიური და 21 მოწვეული. შესაბამისად, დაახლოებით 30% არის ბათუმის პერსონალი.

„ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გიგი ყუფარაძემ, სასწავლო კურსების სილაბუსების შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები აუცილებლად გადახედავენ ზემოაღნიშნულ სილაბუსებს. დააზუსტა, რომ ასწავლიან „ხელოვნების ისტორიას“ და შესაძლებელია დაშვებული იყოს ტექნიკური შეცდომა, რაც აუცილებლად გასწორდება. ლიტერატურის შესახებ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციით ისედაც სამუშაო ჰქონდათ ლიტერატურაზე და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრი, ერეკლე ასტახიშვილი დაეთანხმა საბჭოს წევრს, გურანდა ჭელიძეს, რომ საქართველოსა და ცივილიზაციის ისტორიის სილაბუსი არის არა გადასახედი, არამედ ძირეულად შესაცვლელი, დაწყებული თემატიკიდან, დამთავრებული გაწერით, საუბარი არ არის ლიტერატურასა და შინაარსზე, ყველაფერი შესაცვლელი/გადასამუშავებელია. წარმოდგენილი კალენდარული კურსი ეჭვს იწვევს, თუ რამდენად გავა პროგრამა შედეგზე. სათაურიც კი არ მიაჩნია სწორად. სილაბუსში არ არის დაცული ქრონოლოგია. ასევე, შესთავაზა დახმარება გასწორების პროცესისთვის.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი არის საუნივერსიტეტო არჩევითი დისციპლინა, რომლის მიზანი არ არის საფუძვლიანად ასწავლოს სტუდენტებს აღნიშნული დისციპლინა, უნდა შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა მსოფლიო ცივილიზაციის შესახებ. შესაბამისად, უფრო მეტი საათების დათმობა არ ჩათვალა უნივერსიტეტმა საჭიროდ.

საბჭოს წევრმა, ერეკლე ასტახიშვილმა, განმარტა, რომ შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით გადამუშავებაც.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, კვალიფიკაციის შესახებ განაცხადა, რომ პროგრამის ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა კვალიფიკაცია მიენიჭებინათ ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით. შესაბამისად, პროგრამაში სასწავლო კურსების მნიშვნელოვანი წილი ბიზნეს ადმინისტრირების კუთხით არის მიმართული, მოიცავს მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების სასწავლო კურსებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ დაწესებულება არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას HR კურსის დამატების შესახებ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, მოგელი შენგელიამ, განმარტა, რომ დაწესებულებას შეთავაზებული ჰქონდა აღნიშნული სასწავლო კურსი არჩევით კომპონენტად, თუმცა თუ დარჩება რეკომენდაცია, რომ გახდეს სავალდებულო , შესაძლებელია ამ ცვლილების განხორციელება პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ თუ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება, ცხადია მენეჯმენტის კომპონენტის გაძლიერება იქნება საჭირო, ცალკე ასწავლიან თუ გააძლიერებენ დაწესებულების გადასაწყვეტია, მაგრამ მენეჯმენტის საფუძვლების ის სილაბუსი, რომელიც წარმოდგენილია ვერანაირად დაფარავს იმ

მინიმუმს, რაც სავალდებულოა ამ მიმართულებით კომპეტენციების გამომუშავებას, მათ შორის ლიდერობის, ოპერაციული მართვის, ლოგისტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და კომუნიკაციების მიმართულებით. აღნიშნული სასწავლო კურსები, რაც არჩევითშია შეთავაზებული, ინტეგრირებულიც კი არ არის სხვა კურსებში. ასევე, სუსტად არის წარმოდგენილი ფინანსები, რის გაძლიერებასაც დარგობრივი მოსთხოვს დაწესებულებას უახლოეს მომავალში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:55
დასრულების დრო: 15:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, 1.2, 2.2, 2.3, 4.1, 5.1 ქვესტანდარტებში დაემატა შემდეგი რეკომენდაციები:

- 1.2 - რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით;
- 2.2 - რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის განახლებულ სწავლის შედეგებთან;
- 2.3 - რეკომენდებულია გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სავალდებულო კურსების სწავლება - ადამიანური რესურსის მართვის, ლიდერობისა და გუნდის მართვის, ოპერაციებისა და პროექტების მართვის, სტრატეგიული და ფინანსური მენეჯმენტის საკითხებით;
- 2.3 რეკომენდებულია, შეივსოს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების“ სილაბუსის შინაარსი, უკვე არსებულ საკითხებთან ერთად, ბიზნესის სამართლისთვის სხვა რელევანტური თემატიკით და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლიდან, შრომის სამართლიდან და სხვა; (რეკომენდაციამ შეიცვალა ფორმულირება)
- 2.3 - რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები (საქართველოს და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, დიპლომატიის ისტორია, ხელოვნების ისტორია და სხვა) და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან;
- 4.1 - რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;
- 5.1 - რეკომენდირებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის სწავლის შედეგების და კვალიფიკაციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

რეკომენდაციების შესაბამისად, 1.2 ქვესტანდარტი გადავიდა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (პირველი სტანდარტი - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“), 2.2 და 2.3 ქვესტანდარტები გადავიდა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (მეორე სტანდარტი - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“), 4.1 ქვესტანდარტები გადავიდა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (მეოთხე სტანდარტი - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“), 5.1 ქვესტანდარტი გადავიდა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (მეხუთე სტანდარტი - „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 2 წლის ვადით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია, გაიზარდოს პროგრამის გადამუშავების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ბათუმის წარმომადგენლობის ჩართულობა შესაბამისი მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედების გზით;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში აისახოს ასპექტი, სამიზნე ნიშნულიდან გადახრის რა სიდიდე არის დასაშვები და რა შემთხვევაში განხორციელდება პროგრამის ცვლილება.
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში მოყვანა ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით
4. რეკომენდებულია ეკოლოგიური და სათავგადასავლო ტურიზმის, საერთაშორისო ტურიზმის და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურების, გასტრონომიული და ღვინის ტურიზმის, ტურიზმის მარკეტინგის, ტუროპერეიტინგის-წინაპირობად განესაზღვროს ,,შესავალი ტურიზმში", ხოლო მასპინძლობის მენეჯმენტის, სასტუმროს მენეჯმენტის, ღონისძიებების ადმინისტრირებას, გაყიდვები ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სასწავლო კურსებს, ,,შესავალი ტურიზმში" სასწავლო კურსთან ერთად, წინაპირობად განესაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები"; სასწავლო კურსებს „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო" და „საერთაშორისო ბიზნესის პრინციპები" წინაპირობებს დაემატოს ინგლისური ენა.
5. პროგრამაში საფაკულტეტო ან სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით წარმოდგენილი იქნას ,,ადამიანური რესურსების მართვის" სასწავლო კურსი.
6. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის განახლებულ სწავლის შედეგებთან
7. რეკომენდებულია გადაიხედოს ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სავალდებულო კურსების სწავლება - ადამიანური რესურსის მართვის, ლიდერობისა და გუნდის მართვის, ოპერაციებისა და პროექტების მართვის, სტრატეგიული და ფინანსური მენეჯმენტის საკითხებით
8. რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ სასწავლო კურსებთან: ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, მასპინძლობის მენეჯმენტი, საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურიზმის სტატისტიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტუროპერეიტინგი და ტურიზმის სატრანსპორტო მომსახურება, დემოკრატია და მოქალაქეობა, ფსიქოლოგია, ბიზნესის სამართლის საფუძვლები.
9. რეკომენდებულია, შეივსოს „ბიზნესის სამართლის საფუძვლების" სილაბუსის შინაარსი, უკვე არსებულ საკითხებთან ერთად, ბიზნესის სამართლისთვის სხვა რელევანტური თემატიკით და განახლდეს ძირითადი ლიტერატურა (ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილიდან, სახელშეკრულებო სამართლიდან, შრომის სამართლიდან და სხვა).
10. რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსები (საქართველოს და მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, დიპლომატიის ისტორია, ხელოვნების ისტორია და სხვა) და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან
11. რეკომენდებულია, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში მიეთითოს სტუდენტთა რაოდენობა, ხელშეკრულების/მემორანდუმის გათვალისწინებული პრაქტიკის ხანგრძლივობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - მიზნობრიობაც.

12. რეკომენდებულია, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამასა და რიგ სილაბუსებში („კრიტიკული აზროვნება და აკადემიური წერა“, „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ , „შესავალი ტურიზმში“, „ფინანსური აღრიცხვა I“ სილაბუსებში) სწავლება-სწავლის მეთოდები თავისი შინაარსობრივი დატვირთვით იყოს გამოყენებული და გაიმიჯნოს აქტივობებისგან.
13. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენ-ლობის პროგრამის სტუდენტებთან ელექტრონულ რესურსულ ბაზებთან დაკავშირებით.
14. რეკომენდებულია ბათუმის წარმომადგენლობაში ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სალექციო და სასემინარო სწავლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაიზარდოს დარგის (ტურიზმი) კვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა (ადგილობრივი (ბათუმი) კადრებით უზრუნველყოფა).
15. რეკომენდირებულია, უსდ-მ უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში.
16. რეკომენდირებულია, ხარისხის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება, პროგრამის სწავლის შედეგების და კვალიფიკაციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
17. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგი, განსაკუთრებით ბათუმის წარმო-მადგენლობის დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენის, მიღებული მონა-ცემების სათანადო ანალიზის, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ლიტერატურის განახლების, ბათუმის წარმომადგენლობაში აკადემიური პერსონალის მოზიდვის, რამდენიმე საკითხზე (მათ შორის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე) სტუდენტთა ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდის, მემორანდუმების სათანადო პირობების დაცვით დადებისა და სხვა სასწავლო ნაწილების მიმართულებით.

რჩევები:

1. სასურველია გარე შეფასებაში უცხოელი ექსპერტების ჩართვა;
2. სტუდენტთა საშუალო შეფასების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააძლიეროს ტექნიკური/მათემატიკური საგნების სწავლება დამატებითი საკონსულტაციო საათების, ანსტუდენტებისათვის პროგრამის მიღმა უფასო მეცადინეობების შეთავაზების გზით;
3. სასურველია, სასწავლო კურსების არჩევითობის ხარისხის გასაზრდელად შეთავაზებული იქნეს შემდეგი სასწავლო კურსები/საგნები: ტურიზმისპოლიტიკა, რისკის მენეჯმენტი, პროექტის მენეჯმენტი, ბიზნესისკვლევის საფუძვლები და სხვა;
4. სასურველია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს უნივერსიტეტმა შესთავაზოს ტრენინგები კრედიტების გაანგარიშების წესის გამოყენების, ასევე, პერსონალის დატვირთვის სქემის მოთხოვნებისა და პროგრამაში ცვლილებების შეტანის მექანიზმთან დაკავშირებით;
5. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში შესაბამისი მუხლების საფუძველზეუფრო ნათლად აისახოს სამეცნიერო მივლინებების, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, შიდა გრანტების და სხვა მსგავსი ხარჯები;
6. კარგი იქნება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობა პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში, განსაკუთრებით ბათუმის წარმომადგენლობის მხრიდან;
7. სასურველია, პროგრამის ფარგლებში დაინტერესებულ აქტორთა განხორციელებულ გამოკითხვებზე (კმაყოფილების კვლევებზე) რეაგირების ანგარიშები (ოქმები) წარმოებდეს განსაზღვრული პერიოდულობით;

8. სასურველია, ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ფორმებმა უფრო მეტად ასახოს პროგრამების დადარების შინაარსობრივი მხარე, შედარების შედეგები ამა თუ იმ საკითხზე ცვლილებებისშეტანისა თუ პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

15:46 საათზე საბჭო დატოვეს ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და ირინა გველესიანმა.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	31.08.2017 გადაწყვეტილება №63
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია - 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		კოსტავას №77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ მიწოდებულ დოკუმენტაციას, ვიზიტი მიზანი იყო დაედგინა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. შეფასდა, მხოლოდ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები. პროგრამა არის 240 კრედიტიანი, 228 კრედიტი არის ძირითადი სასწავლო კურსები, 12 კრედიტი - არჩევითი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.2: რეკომენდებულია ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში არჩევით საგნებს განესაზღვროს სემესტრები რეკომენდირებულია კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა;
კომპონენტი 2.3: რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში გათვალიწინებული იყოს საგნის სპეციფიკა რეკომენდებულია ძირითად ლიტერატურად გამოყენებული იყოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, პირველი რეკომენდაციის (რეკომენდებულია ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში არჩევით საგნებს განესაზღვროს სემესტრები) შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნულის ვალდებულება არ ჰქონდათ არც ნორმატიულ და არც საუნივერსიტეტო დონეზე. საუბარია არჩევით სასწავლო კურსებზე, რომლებიც არ გადის სწავლის შედეგზე, არის სტუდენტის თავისუფალი არჩევანი, თუკი ის აკმაყოფილებს საგნის პრერეკვიზიტებს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, ამიტომ არის

პროგრამა ასე აწყობილი. მეორე რეკომენდაციის (რეკომენდებულია კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებული იყოს ფუნდამენტური სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა) შესახებ განაცხადა, რომ მათთვის გასაგებია ექსპერტთა ჯგუფის რჩევა, თუმცა აღნიშნული სილაბუსების შექმნისას გათვალისწინებულ იქნა მისი საათობრივი დატვირთვა, მოცულობა, შინაარსი, ისე, რომ შეესაბამებოდეს მისთვის მინიჭებულ კრედიტებს. დაწესებულება ატარებს კვლევებს, რეგულარულად, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, ასეთი პრობლემა არცერთ კვლევაში არ დაფიქსირებულა, რომ რომელიმე სასწავლო კურსის საკონტაქტო საათები არ არის საკმარისი, თუმცა „ფარმაკოგნოზიასთან“ მიმართებაში მართლაც აქვთ გეგმა, რომ მეტად განავითარონ, შექმნან ინტეგრირებული კურსი პრაქტიკული ნაწილის გაზრდის ხარჯზე. 2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია ძირითად ლიტერატურად გამოყენებული იყოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოები) შესახებ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ზუსტად გადმოსცა დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაცია, დაწესებულების სურვილიცაა, რომ მეტი ქართულენოვანი ლიტერატურა გამოიყენოს. შესაბამისად არსებობის შემთხვევაში მოიძიებენ და ჩართავენ ლიტერატურაში, თუმცა ხშირად არ არის ხოლმე. ამასთანავე პროგრამაში ინგლისურის 3 სემესტრიანი სწავლებაა, წინ უძღვის ძირითადი საგნების შესწავლას და საფუძველს აძლევს ივარაუდონ, რომ სტუდენტებმა B დონეზე უკვე იციან ენა და მათ ლიტერატურის დამუშავება არ უჭირთ ფუნდამენტურ საგნებში ცოდნის დასაუფლებლად. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სწავლის შედეგების სისტემის მიხედვით, ნიშნის არსი იყო ისეთი, რომ ყველა საგნის სწავლების დროს გათვალისწინებულია სწავლის შედეგების უნიფიცირებული მეთოდები - პრეზენტაცია, რეფერატი, წერითი ქვიზი და ნაკლებად არის გაწერილი სპეციფიური მეთოდები. ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, განმარტა, რომ შესაძლებელია ყველა საგანში აღნიშნული მეთოდოლოგია არის ჩადებული, ვინაიდან ისინი ფარმაცევტებს გარდა იმისა, რომ სპეციფიურ ცოდნას აძლევენ, ასევე ამზადებენ ჯანდაცვის სისტემის მუშაკებს პროფესიულ წრეებთან და საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის. ასევე ისინი გარკვეულწილად მენეჯერებიც არიან, მათ ზემოაღნიშნული უნარები კარგად უნდა ჰქონდეთ ჩამოყალიბებული, რადგან საკომუნიკაციოდ აღნიშნული მეთოდები მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სპეციფიურად ძალიან ბევრ საგანში ჩადებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა მენტორის მიერ შეფასება კურაციულ საგნებში, გუნდური მუშაობის რუბრიკები, თვითრეფლექსია, ქეისების განხილვის შეფასება და ა.შ. ამიტომ დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით მათ სასწავლო კურსებში არის შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ეთანხმებოდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას.

ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განაცხადა, რომ ეთანხმებოდა და იზიარებდა გაცემულ რეკომენდაციებს. ინგლისურ ლიტერატურასთან მიმართებით არ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია, რომ არ უნდა იყოს ქართულენოვანი, თუნდაც თვითონ ლექტორის მიერ შექმნილი სალექციო კურსი მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი. ფუნდამენტურ სასწავლო კურსებს აუცილებლად უნდა გაეზარდოს შინაარსობრივი მოცულობა, არჩევითი კურსების ხარჯზე. ასევე, სასწავლო კურსებისთვის სემესტრების მითითების შესახებ რეკომენდაცია აუცილებლად უნდა დარჩეს, რადგან პროგრამის წაკითხვისას უფრო მარტივი უნდა იყოს სტუდენტისთვის იმის განსაზღვრა თუ რომელ სემესტრში შეუძლია გაიაროს კონკრეტული სასწავლო კურსები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომ თუკი არ განისაზღვრება სემესტრები მოახდენს თუ არა აღნიშნული გარემოება გავლენას სწავლის შედეგების მიღწევაზე.

ექსპერტმა, მაკა ჯავახიამ, განმარტა, რომ ზემოაღნიშნული სასწავლო კურსები არჩევითია და შესაბამისად გავლენას ვერ მოახდენს სწავლის შედეგზე.

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, განაცხადა, რომ არ იქმნება ბუნდოვანება, რადგან LMS სისტემაში სტუდენტს ყოველთვის უჩანს არჩევითი საგნები,

რომლებიც შეუძლია აირჩიოს. შესაბამისად, LMS-დან ხდება არჩევა და ამით იცავენ მათ უფლებას, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტი შეივსონ არჩევითი სასწავლო კურსებიდან, პრერეკვიზიტის დაკმაყოფილების შემთხვევაში.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, დასძინა, რომ გარკვეულწილად პრერეკვიზიტები არის მიმანიშნებელი თუ როდის შეუძლია სტუდენტს აირჩიოს კონკრეტული სასწავლო კურსი.
უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ სემესტრული ფაქტორის არ განსაზღვრისას დაწესებულების მიზანი იყო, რომ ზოგჯერ აღქმული იყო, რომ მხოლოდ კონკრეტულ სემესტრში უნდა გახსნილიყო სასწავლო კურსი, რაც უფრო დამაბნეველი იყო სტუდენტებისთვის და უფრო მეტი კითხვა ისმებოდა, არსებული მიდგომით კი ამბობენ, რომ სემესტრებზე უპირატესი არის წინაპირობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა, მინიმუმ რამდენი სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს არჩევითი კურსის გასახსნელად.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ბევრი სტუდენტი არ ჰყავთ, ამიტომ 2-3 სტუდენტის შემთხვევაშიც კი იხსნება სასწავლო კურსი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა სემესტრის არ განსაზღვრა მატებს თუ არა მეტ მოქნილობას ამ მიმართულებით.
უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, დაადასტურა საბჭოს წევრის მოსაზრება.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსის, მარინა დარახველიძის, განცხადებით, მას არ უთქვამს, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურას უპირატესობას ანიჭებენ, თუ არის ქართულენოვანი ლიტერატურა აუცილებლად მიიღებენ/ჩასვამენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში არ არის ხოლმე.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას სურს სტუდენტს ასწავლონ დაგეგმოს საკუთარი ცხოვრება, მისი სასწავლო სივრცე, განათლება, როდის რა გაიაროს, რატომ გაიაროს და ა.შ. მოცულობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების პოზიცია უცვლელია, თავიდანვე, როგორც გეგმავენ ხოლმე, რომ მარტივი იყოს მისაღწევად და ამავე დროს დიდი დატვირთვა არ ჰქონდეს, ისეა გადანაწილებული რომ გავიდეს სწავლის შედეგზე.

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.07.2016 გადაწყვეტილება №43
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ფარმაცია - 0916
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას №77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე უნივერსიტეტს სტუდენტები არ ყოლია და შემდეგ მოხდა ცვლილება, დასკვნის პროექტში გაწერილი ოთხი რეკომენდაციების შესახებ გაითვალისწინეს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ერთი მათგანი ტექნიკური ხარვეზი იყო, წარმოადგინეს სილაბუსი, ხელშეკრულებები და დარჩა მხოლოდ ორი რეკომენდაცია. მიუხედავად ამისა სამივე განხილული სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.2: რეკომენდებულია ფარმაციის სამაგისტრო პროგრამას დაემატოს ფუნდამენტური სასწავლო კურსები: ფარმაკოგნოზია, ფარმაცევტული ქიმია;
კომპონენტი 4.1: რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი ფარმაცევტულ დისციპლინებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პირველი რეკომენდაციის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია პროგრამამ დაარეგულიროს ჩარიცხვის წინაპირობებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია ფანცულაიამ, განმარტა, რომ ამ შემთხვევაში დაწესებულებამ არ უნდა მიიღოს ყველა ბაკალავრიატ დამთავრებული, უნდა იყოს წინაპირობად საბაკალავრო, რომელიც ფარმაციას მოიცავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, განაცხადა, რომ სტუდენტების მიღება არ ჰქონიათ ფარმაციის სამაგისტრო პროგრამაზე. სამწუხაროდ, კანდიდატი იყო ხოლმე ერთი ან ორი. ანდიდატების აღნიშნული სიმცირის გამო პროგრამა ვერ გახსნეს და ფიქრობენ განსახილველი სამაგისტრო პროგრამის რებრენდინგს. თავიდან პროგრამა ჩაფიქრებული იყო, როგორც „კლინიკური ფარმაციის“ პროგრამა, მაგრამ, როდესაც შეიქმნა საკვალიფიკაციო ჩარჩოში ასეთი პროგრამა არ იყო და სახელწოდება, რომ პროგრამას ჰქვია „ფარმაცია“ სწორედ ამით არის განპირობებული ანუ „კლინიკური ფარმაციის“ კონცენტრაციით.

„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ელზა ნიკოლეიშვილმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს დარგობრივ ასოციაციებთან. სწორედ ამ დარგობრივი პრობლემების გამო, რაც ძალიან აქტუალურია გლობალურად, დაკვეთა წამოვიდა საავადმყოფოებიდან უნივერსიტეტების მისამართით, რომ შეექმნათ „კლინიკური ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ შეიმუშავეს პროგრამა, მაგრამ ვინაიდან იმ პერიოდისთვის საკვალიფიკაციო ჩარჩოში არ იყო შეტანილი, როგორც „კლინიკური ფარმაციის“ პროგრამა, სწორედ ამიტომ დაარქვეს „ფარმაციის“ პროგრამა, თუმცა აბსოლუტურად თავსებადია კლინიკური ფარმაციის პროგრამის მოთხოვნებთან. იგი ეთანხმება იმ მიზანს, რომლისთვისაც აღნიშნული პროგრამა შეიქმნა, საუბარია სამედიცინო შეცდომების შემცირებაზე, მედიკამენტოზური მკურნალობის დროს დაშვებულ შეცდომებზე. დაწესებულებას ევალება გაზარდოს ისეთი კლინიკური ფარმაცევტი, რომელსაც ექნება ღრმა ცოდნა კლინიკურ დისციპლინებში, ტოქსიკლოგიაში, რათა დაეხმაროს ექიმს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ფარმაკოთერაპიის ჩატარებისთვის. დღევანდელი, გლობალური პრობლემა არის ზუსტად ეს, ამიტომ უჩნდებათ პაციენტებს გვერდითი მოვლენები, ამიტომ ხდება მათი ჰოსპიტალიზაცია საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება კვლევის დაშვებას სამაგისტრო ნაშრომისთვის.

„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ელზა ნიკოლეიშვილმა, განაცხადა, რომ არ არის მჭიდრო კავშირი ჯანდაცვს სექტორსა და განათლებას შორის, ეს არის პროგრამა, რომელიც სასიცოცხლოდ სჭირდება ქვეყანას. მათ ძალიან ბევრ წამყვან ჰოსპიტალთან აქვთ დადებული მემორანდუმი, უბრალოდ, როდესაც ქვეყანა მივა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მას ნამდვილად სჭირდება კლინიკური ფარმაცევტი და განსაზღვრავს შემდეგ ნაბიჯებს, დაწესებულებას სურს მომზადებული შეხვდეს ამ პრობლემას. ასეთი ადამიანების მომზადება საციცოცხლოდ მნიშვნელოვანის თითოეული ადამიანისთვის, ანუ მიზანი, რაც კონცეპტუალურად აქვს პროგრამას, ნამდვილად დაძლევადია, ამას არ სჭირდება ქიმია და ფარმაკოგნოზია, ეს არის გაღრმავებული კლინიკური ფარმაკოლოგია, ფარმაკოთერაპია, კლინიკური ტოქსიკოლოგია. არჩევით სასწავლო კურსებში გაითვალისწინეს თუ სად არის ძირითადი პრობლემა - პირველად ჯანდაცვაში, არის ნევროლოგიური, ლაბორატორიული მედიცინა, თუ ვინმე უკვე მუშაობდა ჯანდაცვის დაწესებულებაში და მენეჯმენტს გადაწყვეტილი აქვს, რომ მის კლინიკას ეს კადრი სჭირდება, დაწესებულებას შეუძლია არჩევითი სასწავლო კურსების სახით კიდევ უფრო გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა, ცალკე არის გამოტანილი ფარმაკო ზედამხედველობა, რომელიც №1 პრობლემაა მსოფლიო მასშტაბით, განსახილველი პროგრამა იყო პირველი, რომელმაც აღნიშნული სასწავლო კურსი ჩადო. პროგრამა აბსოლუტურად მზადაა, უბრალოდ სჭირდება რებრენდინგი, რადგან სახელი დამაბნეველია. ეს არის სუფთა კლინიკური პროცესით

მიმდინარე პროგრამა, რომლის მიზანია დაეხმაროს ექიმებს სწორად ჩაატარონ მედიკამენტოზური მკურნალობა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის არის გაწერილი რებრენდინგი.
„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ელზა ნიკოლეიშვილის განცხადებით, იმდენად იჩქარეს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაცია, რომ მაშინ არ იყო დარგობრივი გაწერილი. ახლა ცდილობენ, რომ პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ჩართონ მათი პროფესურაც, მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე და გაწერილია სტრატეგიულ გეგმაშიც. თუკი შეხედავენ პროგრამის კურიკულუმსა და პროფესურას, ყველა არის თავისი დარგის წამყვანი სპეციალისტი.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, განაცხადა, რომ გაწერილი აქვთ სამოქმედო გეგმა, ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა., მიმდინარე წელს მიღება არ გამოუცხადებიათ, თუმცა მათი ინტერესიც არის, რომ დაბრუნდნენ ბაზარზე და მომდევნო მიღებისთვის იყვნენ მზად.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შესახებ განმარტა, რომ კვლევებზე დგას კლინიკური ფარმაციის მიმართულება, უახლესი დარგია, დაწესებულება თანამშრომლობს საქართველოში ჯანდაცვის ასოციაციასთან, სადაც გაერთიანებულია ჯანდაცვითი დაწესებულებების უმეტესობა, პროფილების მიხედვით, როგორც სტაციონარები, ასევე პირველადი ჯანდაცვა, დაწესებულების ასოციაციაში გაერთიანების მთავარი მიზეზი იყო კვლევები, გაერთიანდნენ იმ პირობით, რომ მიეცემოდათ კვლევების საშუალება, რომელიც ამავდროულად ესაჭიროებათ დაწესებულებებსაც. ამიტომ მათ ჩათვალეს, რომ ჯანდაცვის ინდუსტრია უნდა მოტრიალდეს განათლებისკენ. განათლების სისტემაში ამ კუთხით მომუშავე ადამიანების უმეტესობა მოდის ჯანდაცვის სისტემიდან. შესაბამისად, კარგად ესმით და გაუსწრეს მათ სურვილებს, შეაფასეს რა ეს მდგომარეობა, მათ ჩათვალეს, რომ ძალიან ეფექტური იქნებოდა განათლების სისტემაში მომუშავე დარგობრივ პროგრამებთან ურთიერთობა და კვლევების წარმოდგენა, ამიტომ დაწესებულებისთვის კარგია ის შესაძლებლობა, რომელიც ღია კარის პრინციპით გააჩნიათ. მომავალ წელს გეგმავენ რებრენდინგს, ისევ პარტნიორ დაწესებულებებთან ერთად, რადგან სახელმა დააბნია სტუდენტები, ისინი სხვა რამეს ელოდებიან ხოლმე და სინამდვილეში კლინიკური მიმართულებით უშლიან ხოლმე საკითხს. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ თვითონ სისტემასთან ერთად იგეგმება რებრენდინგი.
უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსის, არჩილ ჯანგირაშვილის, განმარტებით, აღნიშნული წარმოება არის არაგეგმიური მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს, რომ აღნიშნულ პროგრამაზე აკრედიტაცია მიიღეს ჯერ კიდევ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩომდე“, და შემდეგ როდესაც გაუქმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №120/ნ-ი, გაჩნდა ორი ვერსია, პროგრამას უნდა გაევლო რეაკრედიტაცია, ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით დადგენილიყო პროგრამის შესაბამისობა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, ამ კუთხით ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აშკარად ჩანს პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობა. რაც შეეხება, სტუდენტების საკითხს ეს არის უკვე ადმინისტრაციული და საჯარო სამართლებრივი საქმე, ეს აღარ არის აკრედიტაციის საკითხი, უნივერსიტეტმა უნდა იმსჯელოს თუ რა უნდა გააკეთოს იმ შემთხვევაში, როდესაც მასთან არ მიდის სტუდენტი. ყველა სამაგისტრო საფეხურის პროგრამას აქვს კვლევითი პროექტი სამაგისტრო ნაშრომის სახით. სამაგისტრო ნაშრომამდე რომ მიდის სტუდენტი, ზოგიერთ შემთხვევაში ან ცალკე სასწავლო კურსად არის ან ინტეგრირებულია თუ როგორ უნდა შეძლოს სტუდენტმა ნაშრომის გაფორმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ გადახედა წარმოდგენილ CV-ებს და გაეცნო დასკვნას, სადაც ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო - რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყოს მეტი ფარმაცევტულ დისციპლინებში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალი, CV-ებში ჩანდა, რომ დასაქმებულია საშუალო განათლების მქონე პირი, დაინტერესდა თუ როგორ ხდება დასაქმებული პირის კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა.
უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის სამსახურის უფროსმა, მარიამ ჯანჯალიამ, განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების გზით, დაცულია გამჭვირვალობის ყველა პრინციპი, კრიტერიუმები განსაზღვრულია კანონით - დოქტორის ხარისხი და შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილება, 3 წელი და 6 წელი, ასისტენტ-პროფესორებს მოეთხოვებათ ასევე დოქტორის ხარისხი, ასისტენტის თანამდებობაზე ირჩევენ დოქტორანტს, რაც შეეხება, მოწვეულ პერსონალს მოთხოვნა, რომ კონკურსი გამოცხადდეს არ არსებობს, შეთავაზებას აკეთებს სკოლა, პროგრამის ხელმძღვანელი. რაც შეეხება კვალიფიკაციას, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მოწვეული პერსონალი გაწერილია უნივერსიტეტის დებულებით, ამ შემთხვევაში მთავარია დგინდებოდეს მისი კომპეტენცია/კვალიფიკაცია იმ საგნის წასაკითხად, რომელზეც მოწვეულია, რაც შეიძლება დადასტურდეს მიღებული განათლებით, სამუშაო გამოცდილებით, გამოცემული პუბლიკაციებით, გავლილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებებით და ა.შ., მოთხოვნა, რომ მოწვეულ ლექტორს ჰქონდეს პედაგოგიური გამოცდილება დაწესებულებას არ აქვს, თუმცა რეკომენდირებულია.
საბჭოს წევრი, ირინა ლობჟანიძე, დაინტერესდა, შეუძლია თუ არა მოწვეულ პერსონალს სავალდებულო საგნების წაკითხვა.
უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის სამსახურის უფროსმა, მარიამ ჯანჯალიამ, დაადასტურა, რომ მოწვეულ პერსონალს შეუძლია სავალდებულო საგნების წაკითხვა. მოწვეული პროფესორი შეიძლება იყოს დოქტორის ხარისხის, მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რაც შეეხება, საშუალო განათლებას და ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, მსგავსი აღნიშნულ პროგრამაზე არ არის დასაქმებული.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, აღნიშნა, რომ შესაძლებელია ტექნიკური ხარვეზი იყოს.
ფარმაციის დეპარტამენტის უფროსმა, მარინა დარახველიძემ, განაცხადა, რომ მას გახსნილი ჰქონდა პერსონალის სია, სადაც ყველა პროფესორები და თავისი საქმის გამოჩენილი პროფესიონალები არიან, მხოლოდ თვითონ იყო დოქტორანტი, 14 წლიანი სამუშაო გამოცდილებით ჯანდაცვაში.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, მიანიშნა, რომ საუბარი იყო სასწავლო კურსზე „კლინიკური ტოქსიკოლოგია“.
„ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ელზა ნიკოლეიშვილმა, განმარტა, რომ ზემოაღნიშნული სასწავლო კურსის ხელმძღვანელი პროფესორი და თავისი დარგის წამყვანი პროფესიონალია.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ერთი რეკომენდაცია ჰქონდათ მითითებული 2 კომპონენტში, არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე ამოიღეს ერთი კომპონენტიდან, თუმცა შეფასების ნაწილში ჩარჩენილია მეტწილი შესაბამისობა და სთხოვა საბჭოს გაეთვალისწინებინა ტექნიკური ნაწილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

5. მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.07.2017 გადაწყვეტილება №45
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა - 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას №77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა საგანელიძემ, განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. შესაბამისად, შეფასდა მხოლოდ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები
პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:
· პირველი სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; კომპონენტი 1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; კომპონენტი 1.2-თან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დასკვნის პროექტის შემდეგ გადმოგზავნილ დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში ასახულია, რომ ყველა რეკომენდაციაზე მუშაობა დაწყებულია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ვიზიტის პროცესში იყო, მის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში ვერ მიიღებს, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში ასახა პირველად გამოგზავნილი დოკუმენტების შესახებ რეკომენდაციები და დაწერეს, რომ არგუმენტირებული პოზიციის თანახმად პროცესები უკვე დაწყებულია, რისი მტკიცებულებებიც არ გააჩნდათ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილ პროგრამაში
მოდიფიცირებულია და ჩამოყალიბებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, კერძოდ კომპეტენციები ითვალისწინებს ცოდნა და გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის აღწერას. შედეგების ცვლილებას არ გამოუწვევია პროგრამის შინაარსობრივი ცვლილება. პროგრამაში არ არის აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები, ასევე სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოითხოვს მეტ ინფორმატიულობას, კერძოდ, იმ შეფასების მეთოდების აღნიშვნას, რომელიც მოცემულია მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში აუცილებელ კომპონენტებად (მაგ. OSCE). არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება წერს, რომ პროცესი დაწყებულია და მოყვანილია შესაბამისობაში;
· მეორე სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

აღნიშნული სტანდარტი აღმოჩნდა სადისკუსიო, რადგან ბრძანება, რომელიც შევიდა ძალაში და არ ჰქონდა დაწესებულება გასწორებული, თუმცა ამაზე ნაფიქრია, დაწყებულია მუშაობა და აპირებენ იმპლემენტაციას უახლოეს მომავალში.

· მეოთხე სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მეთოდები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან - სწავლის შედეგების შეფასება ზოგიერთ სასწავლო კურსში გასწორებულია, ზოგიერთში კი არა;
2. უსდ-მ უნდა განახორციელოს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის შესაბამისობაში მოყვანა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან - მოსაწესრიგებელია პირადი საქმეები და უნდა მოხდეს ამ დოკუმენტაციის გადახედვა;
3. უსდ-მ უნდა განაახლოს აფილირებულ კლინიკებთან ვადაგასული ხელშეკრულებები, სასწავლო კურსების და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით - რადგან გარკვეული ნაწილი ვადაგასულია;
4. პროგრამაში ასახული კრედიტების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესთან", რომელიც არეგულირებს ECTS კრედიტების გადანაწილებას მედიცინის პროგრამებისათვის, კერძოდ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა მოიცავდეს 60 (ECTS) კრედიტს და შესაბამისად საჭიროა კურსების ECTS რაოდენობის კორექტირება;
5. რეკომენდირებულია შინაარსობრივი ინტეგრაციის გადახედვა რიგ სასწავლო კურსებში - რადგან პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია ინტეგრირებული სახით, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში ეს ინტეგრირება ნაკლებად შეიმჩნევა ან საერთოდ არ არის;
6. რეკომენდირებულია წინაპირობების გადახედვა რიგ სასწავლო კურსებში - კონკრეტული სასწავლო კურსები მითითებულია დასკვნაში;
7. რეკომენდირებულია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრა - პროგრამაში და სილაბუსებში არ ჩანს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, ანუ რა ქულის მიღების შემთხვევაშია გამოცდა ჩაბარებული;
8. რეკომენდირებულია შეფასების კრიტერიუმების გაწერა ცალკეულ სასწავლო კურსებში - რადგან პრაქტიკული კომპონენტის შეფასება როგორ ხდება რიგ სილაბუსებში არ ჩანს.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ 4.1 კომპონენტში გაწერილი აქვს შენიშვნა კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის შეახებ, დაინტერესდა პირად საქმეებში არ არის ასახული ინფორმაცია სწორად, თუ გარკვეულ პერსონალს არ აქვს სტაჟი, ან გამოცდილება იმ სფეროში, რომელსაც ასწავლის, ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა ესაუბრათ აღნიშნულ რეკომენდაციაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ხათუნა საგანელიძის განცხადებით, სწორედ პირადი საქმეების გადამოწმებისას დადგინდა, რომ სამუშაო გამოცდილება, რაც მოეთხოვება პროფესორს 6 წელი და ასოცირებულ პროფესორს - 3 წელი. შესაბამისად, დეტალურად გაწერილი, პირადი საქმეების დადარებისას აღნიშნული ვერ იქნა დადასტურებული, ამიტომ, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით გასაახლებელია CV-ები, რაც ასევე ასახა დაწესებულებამ თავის არგუმენტირებულ პოზიციაში.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ რამდენად არსებობს კავშირი მინიმალური ზღვრების სილაბუსში განსაზღვრასა და მონიტორინგის მიზნებს შორის, უქმნის თუ არა რაიმე საფრთხეს/რისკს პროგრამას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა საგანელიძემ, განაცხადა, რომ დოკუმენტაციაში იკითხება, რომ არსებობს აღნიშნული ზღვარი, რომელიც არ არის მითითებული, ამიტომ გამჭვირვალობა/ინფორმატიულობისთვის ამის ჩაწერა აუცილებელია, მხოლოდ ამიტომ გაიწერა აღნიშნული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მუშაობისთვის და საბჭოს წევრებს დასმული კითხვებისთვის, რადგან ეს იყო მათი განმარტების მთავარი ფაქტორი, შესაძლებელია აღნიშნული ფაქტორი გამოიწვია იმან, რომ აღნიშნული წარმოება ყველაზე მეტად დისტანცირებულია და შესაძლებელია არ იყოს სათანადოდ მიწოდებული ინფორმაცია. დაწესებულება სილაბუსებში არსად არ წერს მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს. აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია, სილაბუსებს აქვს ელექტრონული ფორმა, რომელსაც აქვს სილაბუსის რეკვიზიტები, დანარჩენი არის დამატებითი დებულება, რომელიც სილაბუსთან ერთად არის ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაწილი და იქ არის გაწერილი მინიმალური ზღვარი, დასკვნით გამოცდამდე მისასვლელი მინიმალური ზღვარი და სხვა, რაც დასაბუთებაში ჰქონდათ წარმოდგენილი. რაც შეეხება, მეორე დეტალს, CV-ების გაახლების შესახებ, შესაძლებელია გასაახლებელი იყოს რომელი CV, რადგან 100-მდე საგანს 100-მდე ლექტორის CV-ია წარმოდგენილი, გარე შეფასების ფუნქციაც სწორედ ეს არის, რომ თუკი დაწესებულებას რამე გამორჩა მიუთითოს, აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ და აღმოფხვრა აღნიშნული ხარვეზი

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, პირველი რეკომენდაციის (პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების და მიღწევის მეთოდები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან) შესახებ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დამაბნეველი იყო, რადგან 1.2 კომპონენტში პირდაპირ ეწერა, რომ პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს და, შესაბამისად, შეფასების მეთოდებიც რელევანტურია. ის, რომ სწავლის მეთოდები და შედეგები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაშია, მიანიშნებს თითოეული სილაბუსი, წარმოდგენილია OSCE შეფასების მეთოდი, ასევე, პორტფოლიო და ის, რომ დარგობრივ მახასიათებელში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე რეკომენდირებული შეფასების მეთოდი - ნორმალურია, მაგ., პორტფოლიო სრულიად ფარავს მინი კლინიკური შეფასების ნაწილს, ასევე OSCE-თაც იფარება ის კომპეტენციები, რომელიც მინი კლინიკური შეფასებით ფასდება, ამის დამამტკიცებელი საბუთებიც დამატებით იქნა წარმოდგენილი, თავისი ჩექლისტებით. მათი მოსაზრებით, სრულიად შეესაბამება ამჟამინდელი პროგრამის ფარგლებში არსებული შეფასებისა და სწავლების მეთოდები დარგობრივ მახასიათებელს.

მეორე რეკომენდაციის (უსდ-მ უნდა განახორციელოს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის შესაბამისობაში მოყვანა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან) შესახებ განაცხადა, რომ იმ დროისთვის, როდესაც გააგზავნეს ანგარიში, ეს იყო 2021 წლის გაზაფხულზე, ვინაიდან ადამიანური რესურსი არის ყველაზე დინამიკური რესურსი, მას შემდეგ გაორმაგებულია, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის რაოდენობა, შესაბამისია ყველა მათგანის კვალიფიკაცია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

მესამე რეკომენდაციის (უსდ-მ უნდა განაახლოს აფილირებულ კლინიკებთან ვადაგასული ხელშეკრულებები, სასწავლო კურსების და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით) შესახებ, მან განაცხადა, რომ გამოგზავნილი იყო დაახლოებით ერთი წლის წინ და ბუნებრივია ზოგიერთ ხელშეკრულებას გაუვიდოდა ვადა, ბუნებრივია, ვადის გასვლისთანავე დაწესებულებამ პერსონალს გაუხანგრძლივა ვადა, რაც ასევე, წარმოდგენილია არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

მეოთხე რეკომენდაციის (პროგრამაში ასახული კრედიტების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესთან", რომელიც არეგულირებს ECTS კრედიტების გადანაწილებას მედიცინის პროგრამებისათვის, კერძოდ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა მოიცავდეს 60 (ECTS) კრედიტს და შესაბამისად საჭიროა კურსების ECTS რაოდენობის კორექტირება) შესახებ, მან განაცხადა, რომ დაწესებულების არგუმენტაცია წარმოდგენილი იყო და ინფორმაცია ცვლილების შესახებ, მიმდინარე წლის იანვარში, შეიკრიბა პროგრამის საბჭო და ოქმის სახით შემუშავდა, იმსჯელა და დაიგეგმა ამ აკადემიური წლის ფარგლებში საგნებისთვის კრედიტების ოპტიმალური რაოდენობის მინიჭება, რაც გარკვეულ სამუშაოებს საჭიროებს და მყისიერად ვერ განხორციელდა, საგნები ემთხვევა შემოდგომის სემესტრს და იმ დროისთვის აუცილებლად იქნება აღმოფხვრილი აღნიშნული საკითხი.

მეხუთე რეკომენდაციის (რეკომენდირებულია შინაარსობრივი ინტეგრაციის გადახედვა რიგ სასწავლო კურსებში) შესახებ, მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა შემუშავდა 2015-2016 წლებში, იმ დროისათვის მოქმედებდა ძველი დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც არ განმარტავდა არანაირ ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, პროგრამის იმჟამინდელი ხელმძღვანელი საუკეთესო პრაქტიკების გათვალიწინების მიზნით იმყოფებოდა მაასტრიხტის უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე და მათი რეკომენდაციებისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, ასევე WFME-ს 2012 წლის სტანდარტებით, ისეთი ინტეგრაციის ფორმა, როგორიცაა წარმოდგენილი, მაგ., Research and Clinical Skills 1, 2 და 3, სადაც ორივე ტიპის (ვერტიკალური და ჰორიზონტალური) ინტეგრაცია არ არის წარმოდგენილი, თუმცა არავინ ავალდებულებს პროგრამას, რომ სამივე (სპირალურიც) იყოს გათვალისწინებული ზოგიერთი ერთი სასწავლო კურსის ან კურსის ციკლის ფარგლებში, რაც მთავარია ამ სამ სემესტრიანი კურსის მიზანი იყო, რომ სტუდენტისთვის განევითარებინა ისეთი უნარები, რომ სამედიცინო პრაქტიკისა და პროფესიონალიზმის ორ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილზე გაემახვილებინა ყურადღება, რომ ერთი მხრივ, კლინიკურ უნარები განევითარებინა სტუდენტისთვის და მეორე მხრივ, კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის სინთეზირების უნარი მიეცა. შესაბამისად, ეს არ არის მექანიკური გაერთიანება, მას თავისი ფილოსოფია ჰქონდა, რადგან ექიმი უნდა იყოს პრაქტიკოსიც და მკვლევარიც, სწორედ ამას ემსახურებოდა აღნიშნული ინტეგრირება.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ ერთ-ერთ ნაწილში აქვთ რეტროსპექტრული კვლევა და გადაუდებელი დახმარება CPR-ის სახით, ანუ კარდიოპულმუნარული რეანიმაცია. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ამ კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით ეჩვენებინათ ინტეგრაციის ლოგიკა, რათა არ დაეტოვებინა მექანიკურის შთაბეჭდილება.

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, განაცხადა, რომ ჰარდენის საფეხურების მიხედვით ინტეგრირების განხორციელება არის 2018 წლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაწესებულება უარყოფს მის არსებობას, უბრალოდ ჰარდენის მიხედვით რომ გაკეთდეს ინტეგრირება ამაზე მუშაობს პროგრამა, რადგან საჭირო გახდა ფილოსოფიის მთლიანად შეცვლა, დაწესებულება ასევე, მუშაობს განახლებულ/მოდიფიცირებულ პროგრამაზე, რომელიც უახლოეს პერიოდში შევა აკრედიტაციაზე. აღნიშნულ/მიმდინარე პროგრამაში ჰარდენის პრინციპების გამოყენება მნიშვნელოვნად ცვლიდა პროგრამის აგებულებას/არქიტექტონიკას, რასაც, შესაძლებელია სტუდენტების სასწავლო პროცესისთვის შეექმნა ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განმარტა, რომ იგი არ საუბრობდა ჰარდენის ინტეგრაციის ტიპზე, უბრალოდ დაინტერესდა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სად გამოიხატება ინტეგრაცია.

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, განაცხადა, რომ ამ

შემთხვევაში, ერთი მხრივ, სტუდენტი ეცნობა პრაქტიკულ უნარებს, აკეთებს და აცნობიერებს, რომ ეს არის მისთვის, როგორც ექიმისთვის მნიშვნელოვანი, მეორე მხრივ, სწავლობს კვლევას. სტუდენტი ერთი კურსის ფარგლებში ორ განსხვავებულ ასპექტს აკავშირებს ერთმანეთთან, შესაძლებელია არ იყოს შინაარსობრივი კავშირი, თუმცა ხვდება, რომ ორივე ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია მისი პროფესიისთვის, პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის.

მედიცინის დეპარტამენტის უფროსმა და „მედიცინის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნათია ლანდიამ, განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პროგრამის გაუმჯობესებისთვის და ეს კლინიკური და კვლევითი უნარები თავიდანვე, პროგრამის შექმნის დროს გათვალისწინებულ/გამოყენებულ იქნა Tuning-ის დოკუმენტში, სადაც იყო რეკომენდაცია, რომ იმის გამო რომ კლინიკური და სამეცნიერო უნარები უნდა დაწყებულიყო პირველი კურსიდან. ასევე რეგულაციები მოითხოვს, რომ არ არის მიზანშეწონილი ორ-კრედიტიანი საგნები და ბევრი კითხვა ჩნდება, როდესაც საჭიროა ახალი სასწავლო კურსის შექმნა და, როდესაც აღნიშნული სასწავლო კურსი იქმნებოდა, ყველაფერი ეს იყო გათვალისწინებულ. კერძოდ, რომ ორ-კრედიტიანი საგნები არ იქნებოდა მიზანშეწონილი და მოხდა ამ ორი კრედიტის, როგორც სამეცნიერო, ასევე კლინიკური უნარების შეერთება და გახდა 4 კრედიტიანი საგანი. ეს იყო სასწავლო კურსის შექმნის დროს, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ნებისმიერ კლინიკურ უნარს, რომელიც უნდა გამოიმუშაოს ექიმმა, საბოლოოდ უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებით მედიცინას, მაგ., როდესაც ისწავლა წნევის გაზომვა, მას შემდეგ ძალიან ბევრჯერ შეიცვალა მოსაზრება, თუ როგორ უნდა გაიზომოს წნევა, ისე, რომ ეს საგნები შინაარსობრივად არ არის ისე დაკავშირებული, რამდენადაც მტკიცებითი მედიცინის ცოდნა ხელს უწყობს სწორი კლინიკური უნარის გამომუშავებას და საბოლოოდ, გამოდის ვერტიკალური ინტეგრაცია, ექიმისთვის ეს არის საფუძველი, როგორც კლინიკური უნარის განვითარება, რომელიც უნდა გამოიყენოს შემდეგ კლინიკაში, პრეკლინიკურ სასწავლო კურსებში სწავლობს, ეს იქნება სიმულაციებში, სხვადასხვა კლინიკური უნარების ცენტრებში და სხვა, ამ უნარებს გამოიყენებს პაციენტთან. ასევე, პაციენტთან მისვლის დროს, მზად არის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც უნდა მიიღოს, უნდა იყოს მტკიცებით მედიცინაზე დაფუძნებული. სამეცნიერო უნარებს იმუშავებს, რომელიც კვლევისთვის სჭირდება. კლინიკურ უნარსა და სამეცნიერო უნარს შორის არის კავშირი, რომ ყველა უნარი უნდა ეფუძნებოდეს მტკიცებით მედიცინას.

ექსპერტმა, ჯილდა ჭეიშვილმა, განაცხადა, რომ ინტეგრაციისთან მიმართებით რეტროსპექტრული კვლევა არის მტკიცებითი მედიცინის ერთ-ერთი კომპონენტი, შეიძლება განიხილონ, როგორც კვლევით უნარებში, ასევე მტკიცებითი მედიცინის ნაწილში. ექსპერტი ვერ მიხვდა ლოგიკას თუ როგორ არის დაკავშირებული რეტროსპექტრული კვლევა გადაუდებელ დახმარებასთან, თუ კვლევის უნარები უნდა ჰქონდეს სტუდენტს ეს ადრეც იყო საჭირო და ახლაც საჭიროა, ისევე, როგორც მტკიცებითი მედიცინა. რაც ასახულია პროგრამაში, მტკიცებითი მედიცინის ნაწილი და კვლევითი კომპონენტის ნაწილი არ მოიცავს მხოლოდ კლინიკური კომპონენტების მტკიცებით ნაწილს, ანუ მხოლოდ ის, თუ როგორ ზომავენ წნევას, რამდენია ნორმა და რამდენი ტიპია. 2015 წლიდან შეიცვალა კონკრეტული მიდგომები, რაზეც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია სტუდენტს, მაგრამ ამის გარდა მტკიცებით მედიცინაში, ასევე ასწავლიან მიდგომებს სხვადასხვა დაავადებების კუთხით, რა ხდება, როგორ მოიძიოს სხვადასხვა უახლესი ინფორმაცია ბაზრებიდან, ორივე ნაწილი მნიშვნელოვანია, პირველ კვირაში სტუდენტს ჩაუტარდა ლექცია რეტროსპექტრულ კვლევაში, სამეცნიერო უნარების კუთხით და მომდევნო ლექცია ჩაუტარდა CPR-ში - კლინიკური უნარების კუთხით. ეს არის ინტეგრირებული, ინტეგრაციის კუთხით ამ საგანს ერთ კომპონენტში განიხილავენ. მისთვის გაუგებარია ლოგიკა. მან მიმართა უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსს, არჩილ ჯანგირაშვილს, რადგან მან ახსენა ცალკე დოკუმენტები, სადაც გაწერილია ბარიერები, დაინტერესდა არის თუ არა ყველა სასწავლო კურსში შეფასების ბარიერები ერთიდაიგივე თუ განსხვავდება.

უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ გააგზავნა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი, შესაბამისად ამ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო ერთიანი სტანდარტი ფინალურ გამოცდასთან დაკავშირებით, დოკუმენტში განსაზღვრულია ერთნაირად, თუ ინდივიდუალური საჭიროება გააჩნია პროგრამას, არ ახდენენ ამის სილაბუსში ასახვასაც. მას გაუკვირდა აღნიშნულო მოსაზრების რეკომენდაციად გაწერა, რადგან საუბარია ტექნიკურ საკითხზე, თუ სად უფრო მეტად იქნება გამჭვირვალე, სილაბუსში შესაძლებელია ჩაიწეროს ბევრი ინფორმაცია, მაგრამ უნივერსიტეტის მიდგომით, მათ აქვთ ელექტრონული ფორმა, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი რეკვიზიტები სილაბუსებისთვის და ამ რეკვიზიტებთან მიმართებაში არ არის განსაზღვრული, არის ცალკე დოკუმენტალურად, თუ არ არის შეფასების ერთიანი მიდგომა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს იგივე დოკუმენტი, დანართის სახით სხვა მოცემულობა, მაგრამ ძირითადად სილაბუსის დონეზე არ კორექტირდება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა საგანელიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ითხოვდა სილაბუსში გაწერას, რეკომენდაცია გულისხმობდა მინიმალური კომპეტენციის ზღვრების განსაზღვრას, თუნდაც პროგრამაში მითითებას.

უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ დასკვნის აღწერით ნაწილში ნარატივი მიდის ისე, რომ უნდა განისაზღვროს ან პროგრამაში ან სილაბუსში. მისი მოსაზრებით კი არ არის აუცილებელი, რომელიმე დოკუმენტში ეწეროს, რადგან არსებობს ცალკე დოკუმენტი, რომლის არსებობა ცნობილია სტუდენტებისთვის, მათ აქვთ Online.ug-ის საშუალებით, უამრავ სხვა დოკუმენტთან ერთად, ამასთანავე არის სასწავლო ოფისი, რომელიც პერსონალური მესიჯების სახით ახსენებს ხოლმე. მან განმარტა, რომ შეეძლო ეჩვენებინა სად/როგორ ეგზავნებათ ინფორმაცია სტუდენტებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, არეგულირებდნენ თუ არა ერთი დოკუმენტით მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განმარტა, რომ ძირითადად დადგენილია ერთიდაიგივე კომპეტენციის ზღვარი, თუ არის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც შესაბამისი საბჭოს მიერ არის გაანალიზებული, განსაზღვრული, ასევე გაგზავნილია დოკუმენტში. კურაციულებთან მიმართებით ნამდვილად განსხვავებულია შეფასების ფაქტორი, თუმცა ამის ლავირების საშუალება რეგულაციის დონეზე შესაძლებელია.

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ თვითონ სამეცნიერო უნარები, არა მხოლოდ მტკიცებითი მედიცინაა, წნევის გაზომვის მაგალითი გამოიყენა, რადგან ამას სტუდენტი პაციენტთან იყენებს, სამეცნიერო უნარები მოიცავს მცირე კლინიკური კვლევის ჩატარებას, რომელიც განსაზღვრულია მე-12 სემესტრში, ანუ პრეკლინიკურ მიმართულებაში ნასწავლი ორი საგანი, როგორც კლინიკური, ასევე სამეცნიერო უნარი გამოიყენება პაციენტთანაც და კვლევასთან, სამეცნიერო უნარებს იყენებენ კვლევით პროექტში, რომლის განხორციელების ვალდებულება აქვს სტუდენტს, როგორ სწორი დიაგნოსტირება და მტკიცებითი მედიცინის გამოყენება, ასევე სამეცნიერო უნარების კვლევაში გამოყენება. თვითონ ეს ინტეგრაცია არაფერთან არ არის კავშირში, უბრალოდ, პრეკლინიკურ უნარებს, გამოიყენებს, როგორც კლინიკურ სწავლებაში, ასევე სამეცნიერო აქტივობაში. თუმცა განახლებულ/მოდიფიცირებულ პროგრამაში სასწავლო კურსი გაყოფილია და აქვთ გახანგრძლივებული კლინიკური და სამეცნიერო უნარები. ასევე, აღნიშნა, რომ გამოყენებულ იქნა მაასტრიხტის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ზოგადად, პროგრამის შექმნის დროს ერთ-ერთი კარგი მიდგომაა.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძემ, დაინტერესდა, რომ თუ უკუკავშირიც კარგი იყო და მაასტრიხტის ერთ-ერთ პროგრამაზეა დაფუძნებული, რატომ გაიყო ახალ პროგრამაში.

ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ ახალ პროგრამაზე მუშაობის დროს უფრო მეტად კომპეტენციაზე/ინტეგრაციაზე დაფუძნებული პროგრამა ააგეს, აქედან გამომდინარე კლინიკური უნარების გრძივი სწავლება, რომელიც შემდეგ მთავრდება პორტფოლიოთი და

სამეცნიერო აქტივობა, რომელიც იწყება მეოთხე-მეხუთე კურსზე კვლევას აწარმოებენ და მეექვსე კურსზე უკვე კვლევა უნდა ჩაატარონ, უფრო მეტი უწყვეტობა ჩადეს აღნიშნულ საგანში და პორტფოლიოთი შეაფასებენ გრძივ კლინიკურ უნარებსა და კვლევით სამეცნიერო უნარებს, ეს კავშირი იყო, მაგრამ რაღაც მომენტში იკარგებოდა და საბოლოოდ ერთად ვერ აფასებდნენ
უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გარდა ყველგან უწევდათ იმის თქმა, რომ ამ პროგრამებს ისედაც უწევთ რეაკრედიტაცია, მისი მოსაზრებით ადმინისტრაციული წარმოება გულისხმობდა მოცემულობას, რომ დადგენილიყო „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როდის უწევდა რეაკრედტაცია.
უნივერისტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, არჩილ ჯანგირაშვილმა, განაცხადა, რომ პროგრამას რეაკრედიტაცია უწევს 2023 წელს, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლებს სურთ განაცხადი გააკეთონ მიმდინარე წელს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე, OSCE-თან დაკავშირებით დაინტერესდა, თუ რომელ დისციპლინებშია გამოყენებული, რამდენი სადგური, რამდენი წუთი.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხელმძღვანელმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ OSCE-ში ჯერ კიდევ პრეკლინიკურ საგნებში იწყებენ მის გამოყენებას, შემდეგ კლინიკური წავლების დროს, გარკვეული პერიოდით ბრუნდებიან უნივერსიტეტში და იმ მნიშვნელოვან პროცედურებს, რაც დარგობრივით არის გათვალისწინებული ახორციელებენ მათ სივრცეში, OSCE-ს დარბაზში არის კონცეპტუალური მიდგომა ამასთან დაკავშირებით: ინფორმაციის შეგროვება, რისთვისაც მოწყობილია ერთი სივრცე, ანამნეზის შეკრება.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა კონკრეტულ დისციპლინაზე.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ კლინიკური საგნები ერთ მთლიან კონცეფტუალურ თემაზეა აგებული, OSCE მოწყობილია, ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გასინჯვა და დიფ დიაგნოსტიკა და OSCE-ც ამ კონცეფციაზეა აწყობილი კლინიკურ დისციპლინებში.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, სთხოვა დაესახელებინა კონკრეტული დისციპლინა.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, დაასახელა შინაგანი მედიცინა ასწავლიან კარდიოლოგიას, ტრავმატოლოგიას ასწავლიან თუ პულმუნოლოგიას, თვითონ ეს სქემა უცვლელია ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გასინჯვა, დიფ დიაგნოსტიკა, მკურნალობის დანიშვნა და რჩევების/რეკომენდაციების მიცემა, ამაზე დგას კლინიკური დიაგნოსტირების ნებისმიერი პროცესი.
საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე, დაინტერესდა, თუ რომელი კონკრეტული დისციპლინის შეფასებისას გამოიყენება OSCE.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია ამ ეტაპზე წარდგენილ სილაბუსებში არ იყოს გაწერილი OSCE, რადგან ახორციელებენ პილოტირებას ახალ პროგრამაში. მიმდინარე პროგრამაში Clinical Skills-ის ჩაბარება ხდება OSCE-ს დარბაზში, სასწავლო კურსი არის „Research and Clinical Skills“.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ საუბარი იყო პრეკლინიკურ სასწავლო კურსზე, დაინტერესდა თუ არის წარმოდგენილი რომელიმე კლინიკურ სასწავლო კურსში.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხელმძღვანელმა, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა „მეანობა-გინეკოლოგიის“

კუთხით, აქვთ კარგი სიმულაციური ცენტრი. აქვთ კლინიკური უნარების სივრცე, სადაც კვირაში ერთხელ მიდიან სტუდენტები, ლექტორი ამეცადინებს ამ სივრცეში, ამასთანავე ექნებათ ორ ეტაპიანი გამოცდა ამ სივრცეში, კლინიკურ უნარებს ჩააბარებენ OSCE-ს დარბაზში შესაბამისი ჩექლისტებით. ასევე, გადიან ქირურგიის ნაწილს სიმულაციურ ცენტრში.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელმა, ანა ჟორჟოლიანმა, შეფასების სილაბუსში გაწერის შესახებ განაცხადა, რომ ჩექლისტები არის ძალიან ვრცელი Excel-ის ფაილში რამდენიმე Sheet-ზეა გადანაწილებული და ძალიან რთულია ამის კოპირება, თუმცა სტუდენტი ყოველთვის ინფორმირებულია.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ, განაცხადა, რომ გახსნა მითითებული სილაბუსი, სადაც OSCE საერთოდ არ არის ნახსენები.
ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის დირექტორმა, თამარ ლობჟანიძემ, განმარტა, რომ ეს იყო 2020-ში გამოშვებული დოკუმენტაცია, კონკრეტულად „მეანობა-გინეკოლოგიაში“ განხორციელდა აღნიშნული სილაბუსის განახლება, ასევე დაამატეს PBL (Problem Based Learning). ყველა მეთოდს, რომლებიც ახალ პროგრამაში უნდა იყოს, პილოტურად მიმდინარე პროგრამაში ნერგავენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:27
დასრულების დრო: 17:53

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზების გასასწორებლად დამატებით 60 დღიანი ვადის განსაზღვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი სახით:

რეკომენდაციები:

1. პროგრამაში სწავლის შედეგებისშეფასების და მიღწევის მეთოდები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან;
2. უსდ-მ უნდაგანახორციელოს კლინიკურ სწავლებაში ჩართული პერსონალის შესაბამისობაში მოყვანა მედიცინის დარგობრივ მახასიათებელთან;
3. უსდ-მ უნდა განაახლოს აფილირებულ კლინიკებთან ვადაგასული ხელშეკრულებები, სასწავლო კურსების და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით;
4. პროგრამაში ასახული კრედიტების გადანაწილება სემესტრების მიხედვით, შესაბამისობაშია მოსაყვანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული “საგანმანათლებლო პროგრამებისკრედიტების გაანგარიშების წესთან“,რომელიც არეგულირებს ECTS კრედიტების გადანაწილებას მედიცინის პროგრამებისათვის, კერძოდ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი

აკადემიური წლის განმავლობაში უნდა მოიცავდეს 60 (ECTS) კრედიტს და შესაბამისად საჭიროა კურსების ECTS რაოდენობის კორექტირება.
5. რეკომენდირებულია შინაარსობრივი ინტეგრაციიის გადახედვა რიგ სასწავლო კურსებში;
6. რეკომენდირებულია წინაპირობების გადახედვა რიგ სასწავლო კურსებში;
7. რეკომენდირებულია დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრა;
8. რეკომენდირებულია შეფასების კრიტერიუმების გაწერა ცალკეულ სასწავლო კურსებში;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ იქნას საათობრივი გადანაწილება (დამოუკიდებელი, საკონტაქტო);
2. პროგრამაში წარმოდგენილ ცხრილში, სასწავლო კურსების გასწვრის სემესტრისმისათითებელ გრაფაში არსებული ჩანაწერი „0“ სახით დამაბნეველია და მოითხოვს დაზუსტება-განმარტებას;
3. სასურველიასწავლისმეთოდებისმითითებისას, ტერმინოლოგიურად გამოყენებული იქნას სამედიცინო განათლებაში საერთაშორისოდ მიღებული და მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში ასახული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები;
4. მიზანშეწონილია სილაბუსები და საგანმანათლებლო პროგრამა ტექნიკურად მოვიდეს შესაბამისობაში (ენობრივი სისწორე, კურსის დასახელება, კურსის ხელმძღვანელები, შეფასების მეთოდები და ა.შ);
5. რამოდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში ტექნიკურად გასასწორებელი ასწავლის შედეგები, რომლებიც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“-სთან, ასევე სწავლის შედეგების ასახვა უნდა მოხდეს აქტიური ზმნების გამოყენებით;
6. რეკომენდირებულია კლინიკურ კურსებზე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული შეფასების რელევანტური მეთოდების იმპლემენტაციას წავლების პროცესში(OSCE, Mini-CEX, DOPS, WPBA (Work Place Based Assessment) და ა.შ);

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „მედიცინის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები.

6. მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.04.2019 გადაწყვეტილება №106
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დენტალური მედიცინა - 0911
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას №77ა, 0171, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო კორსანტიამ, განაცხადა, რომ ერთი წლის წინაც იგივე ექსპერტები იყვნენ ვიზიტზე დაწესებულებაში, ერთი წელი არ არის ისეთი ვადა, რომ არ

ახსოვდეთ რა დახვდათ, რა რეკომენდაციები გასცეს, შესაბამისად, უფრო მარტივია მათთვის აღნიშნული ანგარიშის წარდგენა. ექსპერტთა ჯგუფი დაესწრო მეოთხე საკითხის განხილვასაც და იქ გაჟღერებული ზოგიერთი რეკომენდაცია ადრე ჰქონდათ მიცემული და დაწესებულებამ გაითვალისწინა ისინი. შესაბამისად ამ ეტაპზე რეკომენდაციები წარდგენილი არ არის, რამდენიმე მოსაზრება დააფიქსირეს რჩევების სახით, რადგან თვითშეფასების ანგარიშში იყო გარკვეული ხარვეზი, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილად მითითებული იყო 23 კლინიკა, თუმცა განმახორციელებლად მითითებული იყო 7 პირი, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზი იყო და ასევე დატოვეს, რომ სილაბუსებში მითითებული იყოს სასწავლო კურსის სემესტრი. დანარჩენი რეკომენდაციები შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სტომატოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა და პროგრამის თანახელმძღვანელმა, ელენე გიგინეიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის, დაეთანხმა, რომ პროცესი მიმართულია პროგრამის განვითარებისთვის და შესაბამისად ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:58
დასრულების დრო: 18:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 14 ივნისის 18:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით